მაყაშვილის ქუჩა №34
თბილისი 0108, საქართველო
ტელეფონი: (+995 32) 2 39 39 39
ფაქსი: (+995 32) 2 39 06 44
ელ-ფოსტა: office@cid.ge
ვებ გვერდი: www.cid.ge

ჰიდ არქიტექტურა

შპს „კ.ი.დ"-ის (ს/კ 204487910) საკონკურსო წინადადება მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში სსიპ „სოფლის მეურნეების კვლევითი ცენტრის" ადგილობრივ ჯიშთა შესწავლისა და კონსერვაციის ზოოლოგიური კომპლექსის სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე (კონკურსი # 1646).

- კონკურსანტის რეკვიზიტები:

სახელწოდება:	„კავკასიან იმუვებელს ანდ დეველოპმენტ" (შპს „კ.ი.დ.")
სამართლებლივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი:	204487910
იურიდიული მისამართი:	ქ. თბილისი, 0108, მაყაშვილის ქ. 34
ტელეფონი:	(+995 32) 239 39 39
დირექტორი:	ნიკოლოზ შავიშვილი (პ/ნ 01008000693)
საკონტაქტო ნომერი:	(+995 599) 19 55 01
საბანკო რეკვიზიტი:	ს/ს თიბის ბანკი
	ანგარიშის ნომერი N GE93TB0600000303467846

- საკონკურსო წინადადების ფასი

180,000 (ასოთხმოციათასი) ლარი

- ინფორმაცია მიწოდების ვადების შესახებ

ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარულ დღეში

- ინფორმაცია კონკურსანტის მიერ წარსულში დაპროექტებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების შესახებ

შპს „კ.ი.დ“ ჰოლდინგ „კიდ არქიტექტურას“ ნაწილია. 1999 წლიდან ჯგუფი „კიდ არქიტექტურა“, რომელშიც შედის შპს „კიდ არქიტექტურა“ (არქიტექტურული დაგეგმარება), შპს „კ.ი.დ“ (სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოება, მშენებლობის მენეჯმენტი, დეველოპერული საქმიანობა“), შპს „კიდ გეო“ (ტოპოგრაფიული, საინჟინრო-გეოდეზიური, აზომვითი და შეფასებითი სამუშაოები quantity surveying, საჯარო რეესტრში რეგისტრაცია) და შპს „კიდ მარკეტინგი“ (რეკლამა, გაყიდვები, გაყიდვების შემდგომი მომსახურეობა), მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საქართველოს ურბანიზაციასა და არქიეტექტურაში. მის მიერ არასრულ 16-წლიან პერიოდში დაპროექტებულია 1.3 მლნ კვ.მ სხავდასხვა დანიშნულების სამოქალაქო, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო 75-ზე მეტი ობიექტი, აქედან 550,000 კვ.მ-ზე მეტი აშენებულია ან მიმიდნარე მშენებლობის პროცესში. ობიექტების ფუნქციათა შორისაა საცხოვრებელი ვილები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სასტუმროები, ოფისები, სავაჭრო ფართები, სამთო-სათხილამურო კომპლექსი, სასაწყობო მეურნეობები და საწყობები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშაველები და შემნახველი საწარმო, სათბურები და ა.შ.

„კიდ არქიტექტურას“ პროექტებიდან 16 ნაგებობა, საერთო ჯამური ფართობით 335,500 კვ.მ, უშუალოდ „კიდ არქიტექტირას“ პასუხისმგებლობით არის აშენებული შპს „კ.ი.დ“-ის მიერ. შპს „კ.ი.დ“-ს გააჩნია საკუთარი სამშენებლო-სამონტაჟო ტექნიკა (ამწე-კრანი, ბეტონმრევები, ბეტონის პომპეა, მცირეგაბარიტიანი თვირთამწეები და ა.შ.), ჰყავს კვალიფიცირებული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი და გამოცდილი მენეჯმენტი. მას საშუალება აქვს სრულყოფილად აწარმოოს და მიიყვანოს ბოლომდე ისეთი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო და ჩააბაროს დამკვეთს, როგორიცაა ადგილობრივ ჯიშთა შესწავლისა და კონსერვაციის ზოოლოგიური კომპლექსი.

უშუალოთ წარსულში დაპროექტებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების შესახებ მოგახსენებთ, რომ შპს „კ.ი.დ“-ს შესრულებული აქვს:

დამკვეთი ჰოლდინგ „მეგაფუდ“-ის შპს „ფუდსერვისის“ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშაველები და შემნახველი მულტიფუნქციონალური ქარხანა დაბა ორხევში, თბილისი, 2010-2011 წწ., სრული საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (მშენებლობა დასრულების სტადიაში) – 15,768 კვ.მ

დამკვეთი შპს „ელიავა 2“-ის სასაწყობო და სავაჭრო კომპლექსი ქ. თბილისში, 2013-2014 წწ., სრული საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (მშენებლობის პროცესში) – 7,890 კვ.მ

დამკვეთი „ტოვუზ-ბალტია“ (აზერბაიჯანი) ჰერბიციდებისა და პესტიციდების შესანახი სასაწყობო მეურნეობა და ბოსტნეულის სათბური ტოვუზის რაიონში, აზერბაიჯანი, 2014-2015 წწ. (საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების სტადიაში) – 25,000 კვ.მ.

- გასაწევი მომსახურეობის სრული ტექნიკური აღწერა ტექნიკური დავალების შესაბამისად:

1. მსხვილფეხა რქოსნი პირუტყვის ადგილობრივი ჯიშების საცდელ-სადემონსტრაციო ფერმა - 2630.4 კვ.მ
2. ცხვრის სადგომი - 1398.1 კვ.მ
3. სანაშენე ბუღების შესანახი ფერმა და კრიოკონსერვაციის ლაბორატორია - 838.3 კვ.მ
4. კახური ღორის ფერმა - 1398.1 კვ.მ
5. მეფრინველეობის ფერმა - 2630.4 კვ.მ, მ.შ.:
   5.1. ზრდასრული ქათმის და ინდაურის სადემონსტრაციო საფრინველე ფერმა
   5.2. სადემონსტრაციო საფრინველე ბატისა და იხვის მოზარდეული
   5.3. საფრინველე ქათმის და ინდაურის მოზარდეული
   5.4. ბატისა და იხვის მოზარდეულის გამოსაზრდელი
   5.5. სახოხბე
6. საკოლექციო-სადემონსტრაციო ნაკვეთი მეთევზეობაში - 300 კვ.მ
7. საფუტკრე - 133.3 კვ.მ
8. აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები ბინა - 108 კვ.მ
9. საკვებწარმოების ოფისი - 838.3 კვ.მ
10. ვეტ-სანიტარული ბლოკი - გაერთიანებულია ადმინისტრაციის ბლოკში
11. ქართული ნაგაზის შესანახი ადგილი - 145.2 კვ.მ
12. თავლა ადგილობრივი ჯიშის ცხენების - 604.8 კვ.მ
13. ოფისი - გაერთიანებულია ადმინისტრაციის ბლოკში
14. საყარაულო - 63.1 კვ.მ
15. ტექავტოსადგომი - 600 კვ.მ
16. ტექ.ოთახი პერსონალისთვის - გაერთიანებულია ადმინისტრაციის ბლოკში
17. საკვები საამქრო ბუნკერებით - 838.3 კვ.მ
18. სათივე - 838.3 კვ.მ
19. სასილოსე კოშკი (2 ერთეული) - თვითთოეული 1500 კუბ.მ სასარგებლო შესანახი ფართი
20. სანაკელე უტილიზაცია - შემოთავაზებულია შესაბამის ფერმებთან მიწისქვეშა ნაგებობების სახით
21. წყალმომარაგების სისტემა, წყლის რეზერვუარები - მიწისქვეშა ნაგებობა

ადმინისტრაციის ბლოკი მთავარ მოედანზე იკავებს გამორჩეულ ადგილს და წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას საერთო ფართით 1209.6 კვ.მ. გარდა ზემოთ მითითებული ფუნქციებისა, ადმინისტრაციის ბლოკში შედის აგრეთვე ფართი მომავალი განვითარებისათვის.

ტექნიკურ დავალებაში მითითებული ფუნქციების გარდა, შპს „კ.ი.დ"-ის საპროექტო წინადადებაში გათვალისწინებულია საერთო საგამოფენო-სადემონსტრაციო სივრცე ადგილობრივ ჯიშთა საუკეთესო ნიმუშების საჩვენებლად და სტუმრების მისაღებათ.

არქიტექტურული კონცეფცია - ესკიზური პროექტი ავტორისეული ხედვით (14 ფურცელი A3 ფორმატი), ესკიზური პროექტის ელექტრონული ვერსია (1 CD) და განმარტებითი ბარათი (1 ფურცელი A3 ფორმატი) თანდართულია.

შპს „კ.ი.დ"-ის (ს/კ 204487910) დირექტორი

ნიკოლოზ შავიშვილი